საბანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 9 18 00080514

22/11/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 19 ნოემბრის N60-01183233205 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 19.11.2018; N79522) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N23ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.14.14.005.075) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედაგად დადგინდა, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური

რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების მინიმალური მოთხოვნების გათვალისწინებით, შესამუშავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, რომელთა პროექტში რეალიზება საგრძნობლად გაზრდის შენობის ხანძარსაწინააღდეგო დაცვის ხარისხს და უსაფრთხოებას, კერძოდ:

1. საცხოვრებელი ბინების შესასვლელებში (ჰოლში) და საცხოვრებელი ბინებში გათვალისწინდეს სახანძრო სიგნალიზაციის შესაბამისი მაუწყებლების მონტაჟი ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად;
საფუძველი: SP 5.13130.2009 ცხრილი A1 პუნქტი 6.2; SP54.13330.2016 პ.7.3.3,7.3.5
2. შენობის საცხოვრებელ ნაწილში გათვალისწინდეს შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობა, სახანძრო ონკანების მონტაჟით;
საფუძველი: SP10.13130.2009 პუნქტი 4.1.1 ცხრილი 1
3. ვინაიდან გაურკვეველია სატუმბო სადგურის განთავსების ადგილი, გათვალისწინდეს, რომ ხანძარჩაქრობისათვის განკუთვნილი ავზის და სატუმბო სადგურის სათავსოს ადგილმდებარეობა კონკრეტულად ნაჩვენები უნდა იქნეს არქიტექტურული დაპროექტების დოკუმენტაციაში.
4. ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულ მიწისქვეშა ავტოსადგომებსა და საოფისე ფართობებში, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე (და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით), ხოლო მიწისზედა სართულების საცხოვრებელ ნაწილში, საერთოდ არ განიხილება ხანძარსაწინააღმდგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს:
ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტი;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტი;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტი;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტი;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტი;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტი;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტი;
თ) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის მოწყობის პროექტი;

გაცნობებთ, რა ზემო აღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება წერილში აღნიშნული შენიშვნა-წინადადებების თანახმად, დაპროექტების დოკუმენტაციაში

შესაბამისი ცვლილებების შეტანა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტების წარმოდგენა, როგორც წესი შეფერხდება არქიტექტურული პროექტის განხილვის პროცედურა და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში დასკვნის მომზადება.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი